საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის შეფასების სისტემა

პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი ფასდება ინდივიდუალურად და პროგრამისთვის გამოდის საშუალო მაჩვენებელი.

უკუკავშირის ფორმის შედეგები ითვლება NPS მეთოდოლოგიით, რომლის დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი შედეგის მიღებისას ხდება მოდულის მოდიფიცირება.

ტრენინგის შეფასების კითხვარი თითოეულ კომპონენტს აფასებს 0-დან 10 ქულამდე შკალით, რომლის მიხედვითაც გამოითვლება NPS-მაჩვენებელი.

NPS მაჩვენებლისთვის დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები:

- 90-100 % - წარმატებული
- 80-89 % - კარგი
- 70-79 % - დამაკმაყოფილებელი
- >70 % - წარუმატებელი

უკუკავშირის კითხვარში ნებისმიერი კომპონენტის დამაკმაყოფილებელი და წარუმატებელი შედეგის დადგომისას ხდება ღონისძიებების დაგეგმვა მის გასაუმჯობესებლად.

კურსის ცალკეული მოდულების შეფასება განხორციელდება სწავლების შედეგების ანალიზისა და შეფასების Kirkpatrick-ის მოდელის გათვალისწინებით:

დონე 1. რეაქციის შეფასება

მონაწილეთა სუბიექტური შეფასება, მათი დამოკიდებულება ტრენინგის ხარისხს, ეფექტიანობის, რელევანტურობისა და სარგებლიანობის შესახებ. მონაწილეთა მიერ ტრენინგის განსხვავებული ასპექტების შეფასება (უკუკავშირის კითხვარი).

უკუკავშირის ფორმა მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებას:

- ტრენერის შეფასება
- ტრენიგნის გარემოს შეფასება
- ტრენიგნის პროცესის შეფასება
- ტრენიგნის შინაარსის შეფასება
- ტრენიგნის შედეგის შეფასება
- ზოგადი კმაყოფილება

დონე 2. სწავლის შედეგების შეფასება

კურსის ფარგლებში, თითოეული მოდულის შემთხვევაში, განხორციელდება მონაწილეთა პრე-პოსტ შეფასება (ტესტირება), რათა მოხდეს მათი ცოდნისა და უნარების დონის ცვლილების გაზომვა, პროგრესის განსაზღვრა და შესაბამისად, ტრენინგის სწავლების შედეგების შეფასება.

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პრე-პოსტ ტესტი რომელიც 10-12 კითხვისგან შედგება და მის შესავსებად განსაზღვრულია 15 წუთი.

პრე-პოსტ ტესტი აფასებს მონაწილეების ცოდნის დონეს ტრენინგის დაწყებისას და დასრულებისას. პრე-პოსტ ტესტის პროგრესი აჩვენებს ჯგუფის პროგრესს მინიმუმ 3 ერთეულით (30%).

პრე-პოსტ ტესტში სამიზნე მაჩვენებელზე ნაკლები პროგრესის შემთხვევაში, ტრენერთან ერთად ხდება კურსის შინაარსისა და სწავლების მეთოდების გაანალიზება და მოდიფიცირება.

მონაწილის შეფასება

მონაწილის შეფასება ხდება ორი მიმარულებით:

- ტრენინგზე დასწრება - აღრიცხვა ხორციელდება ინსტიტუტის შიდა პროცედურების მიხედვით
- ცოდნის დასკვნითი შეფასება - საბოლოო გამოცდა (ტესტირება)

მენეჯერული უნარები

შეფასების გეგმა	
დასკვნითი შეფასება	საბოლოო გამოცდა, რომელიც 75 წუთს გრძელდება, ტარდება კურსის დასრულებისას, ბოლო შეხვედრიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
დასკვნითი შეფასების ფორმატი	დასკვნითი შეფასება ტარდება ტესტის ფორმატში. ტესტი შედგება 50 დახურული კითხვისგან (თითო საგანში 10 კითხვა). თითოეულს აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის მაქსიმალური ქულაა 50.
შეფასების გადაბარება	მონაწილეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში გადააბაროს გამოცდა.
სერტიფიკატის გაცემის საფუძველი	სერტიფიკატი გაიცემა ორი ძირითადი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: • მონაწილის არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით), თითოეული მოდულის მიხედვით. კერძოდ, კურსის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ ყველა მოდულის 80%-იანი დასწრების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში; • ფინალური შეფასების, ტესტური გამოცდის მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 75%-ს, გადალახვის შემთხვევაში; დასწრების ზღვარის (80%) შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია თავიდან გაიაროს მთლიანი პროგრამა.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება

შეფასების გეგმა	
დასკვნითი შეფასება	საბოლოო გამოცდა, რომელიც 1 საათს გრძელდება, ტარდება კურსის დასრულებისას, ბოლო შეხვედრიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
დასკვნითი შეფასების ფორმატი	დასკვნითი შეფასება ტარდება ტესტის ფორმატში. ტესტი შედგება 40 დახურული კითხვისგან (თითო საგანში 10 კითხვა). თითოეულს აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის მაქსიმალური ქულაა 40.
შეფასების გადაბარება	მონაწილეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში გადააბაროს გამოცდა.
სერტიფიკატის გაცემის საფუძველი	სერტიფიკატი გაიცემა ორი ძირითადი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: • მონაწილის არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით), თითოეული მოდულის მიხედვით. კერძოდ, კურსის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ ყველა მოდულის 80%-იანი დასწრების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში; • ფინალური შეფასების, ტესტური გამოცდის მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 75%-ს, გადალახვის შემთხვევაში. დასწრების ზღვარის (80%) შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია თავიდან გაიაროს მთლიანი პროგრამა.

საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

ქ. თბილისი,0144,წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96

SAI@SAO.GE WWW.SAI.GE 032 2 054 615